

თეატრი



№ 30 საყოველ-კვიროს ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი. № 30

27 ივლისი

გამომცემი ურჯულ კვირაობით

1886 წელსა.

ფასი «თეატრი»-ს წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა კადით სელის მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი «თეატრი»-ს ღირს სამი შაური. სელის მოწერა მიიღება: თბილისში «თეატრი»-ს რედაქციაში: ანწრუნისუელ ქარაგლასში, № 110. და ქ. ფოთში ბენადონ კალანდაძისთან. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію «Театръ.»

გაზეთი «თეატრი» პირველის ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მანეთი.

სოფლების თეატრი

სოფლელი თავადიშვილი ჩვენს რედაქციაში.—«ივერიის» პოლიტიკის შედმოქმედება.—როგორ გასჩეჩეს პატივცემული გაზეთი წვევალმა გაჩეჩილაშეებმა.—აბლაკა-ტუბის ნაგარდი «ნოვოე ობოზრენიეში».—მურიეზე მას უკან იყოს.

დღეს დილით ჩვენის გაზეთის რედაქციაში ერთი სოფლელი თავადიშვილი შემოვიდა; აბლაკა-ტუბის ნაგარდი აქაურობა და პირველად ეს კითხვა მოგვანახლა: „თქვენი გაზეთი საპოლიტიკო ხომ არ არისო?“ ჩვენ პასუხის მაგიერად ჩვენი პროგრამა ვჩვენეთ.—რახან საპოლიტიკო არა უოფილა, აი ეს ხუთ-მანათიანი და თავ-თავის დროზედ ამა-და-ამ ადრესით გამომიგზავნიდეთ ხოლმეო. ჩვენ ცოტა არ იყოს ამ კითხვამ გაგვაოცა, ვსთხოვეთ ჩამოგვდომა, პაპიროსი მივთავაზეთ და ვკითხეთ მიზეზი—პოლიტიკამ ასე როგორ დაგაშინათო?

— როგორ თუ როგორ დამაშინაო! მოგვიგო იმან. ბატონო, ჩემდა საბედნიეროდ, თუ

საუბედუროდ, როგორც გინდათ იანგარიშეთ, რაც ქართული მწიგნობრობა დაარსებულა, მე იმისი მუშტარი განლავარ და გამუდმებული მუშტარიც. ჩემს ოჯახში ორი მოხუცებული მუცხე: ერთი მამა და ერთიც სიმამრი. მოვა თუ არა „ივერიის“ ნომერი, ჯერ ერთმა უნდა წაიკითხოს, მერე მეორემ—შეეჩვივნენ ამ ოც წელიწადში გაზეთს და უკანეთოდ ვეღარა სძლებენ—ერთი თავიდაც ძირამდის ჩაჰყვება ხოლმე, თუნდა შუაში ხაზიც იყოს გავლებული და მეორე მარჯვნივამ მარცხნივ მისდევს, ასე ჰგონია ოთხი წაზი რომ სვეტებსა ჰყოფს, სასვენებელი ნიშნებიაო. ჩაიკითხავენ ასე ორჯო-პორჯოდ, შემოსხდებიან ცეცხლ-ნაპირას და მოჰყვებიან:


— ჰა, რას იტყვი, სვიმონ, გლადსტონი გაიმარჯვებს, თუ სალუსბერი.

— რომელი გაიმარჯვებს, არ ვიცი, მაგრამ ორნიც კი ძალიან კაცები უნდა იყვნენ.—

— გარტინგტონიც არ უნდა იყოს ურიგო.

— ჩამბერდენისას რადასა ბძანებ?

მე ხან რა საქმე მაქვს, ხან რა და ურები კი გლადსტონ-ჩამბერდენებით გამომიტყნეს. თუ



დმერთი შემეწია და თქვენმა გაზეთმა ამ წამე-
ბისაგან დამისხნა, რაც გინდოდეთ ის შემომიკვე-
თეთ.

ასე გაათავა ბაასი ჩვენმა ახალმა ხელის მო-
მწერელმა, ჩაიღო ჯიბეში კვიტანცია და გამოკვე-
მშვიდობა.

ეს ამბავი ისე სასურადად მიგვაჩნია,
რომა ვალად დავდეთ ჩვენს თავს, როგორც
ცხოვრების მეთვალყურეს, უეჭველად ჩვენის
ცხოვრების მატინანეში შეგვეტანა, არა იმიტომ,
რომ პატივცემული გაზეთისათვის გვესაყვედურ-
ნა, ან ნიშნი მოგვეგო; სრულიადაც არა, ჩვენ
გვინდოდა მხოლოდ მოგვეგონებინა მისთვის,
რომ როგორც ადამიანმა სული და სხეული თანაბ-
რად უნდა ასაზრდოოს, ისე გაზეთმა თანაბრად
უნდა ასაზრდოოს საზოგადოება შინაურისა და
გარეულის ამბებით. თუ არა, აქაო და მელიქი
შვილის სტამბაში მოწინავე წერილების შრიფ-
ტი ბლომად აწევია, უეჭველად უოველ-დედ
თითო მოწინავე უნდა გამოცხვეს პოლიტიკაზედ,
თუნდ იგი „ნოვოე ვრემის“ წერილების ფ-
რულად გამეორება იყოს (იხილეთ მოწინავე წე-
რილი ბუღანტეზედ „ივერია“ № 153.) ან იმის-
თანა საგანზედ იყოს დაწერილი, რომელიც
ავტორს თითონვე არ ესმოდეს და ამ გაუგებ-
რობას თავისივე პირით და კალმით აღვიარებდეს
(იხ. მოწინავე წერილი პორტოფრანკოზედ,
„ივერია“ № 140.)

თუ ვამტყუნებთ „ივერიას“ იმისთანა ამბე-
ბის გამო ვამტყუნებთ, რომელიც იმის თვალ-
წინა ჰხდება და ქართულად კი რუსული გაზე-
თებიდამ გადმოღებულებს ვვაკითხებს. თორემ
მოწერილ ამბების უქონლობის გამო, დვთის
წინაშე, ძალიანაც გასამტყუნარი არ არის. მო-
გენსენებათ რომ ჩვენში ეხლა განშირდა ერთ-
გვარი ტიპი ცრუ ადამიანთა, რომელნიც ცრუ-
ობენ განა იმიტომ, რომ ან გამოგრიჩენ რასმეს, ან
გასამოვონ, ან გაწყენიონ, არა, ცრუობენ მა-
რტო სიცრუისათვის. მე ფილოსოფოსი არ გა-
ხლავართ და იმის გამოკვლევას ვერ შევუდგები,
რამ დაჰბადა ესეთი უცნაური ტიპი ჩვენს ცხოვ-
რებაში, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ამ გვარმა პი-
რებმა ლაპარაკით სიცრუეს გარდა წერით სიკ-

რესაც მიჰყვეს ხელი და რა ქნას „გაზეთმა“ ამ
მდგომარეობაში, როგორ გაარჩიოს „კორესპო-
დენტებისაგან“ მოწერილი სიცრუე სიმართლი-
საგან?

აი, მოისმინეთ რა დაემართა ამ დღეებში კი-
დევ „ივერიას“: იმერეთში მდებარებს შორაპნის
მაზრა, შორაპნის მაზრაში—სოფელი წვეა და
სოფელ წვეაში სცხოვრებენ მრავალი გაჩერილა-
ძეები. არის, თუ არა ს. წვეაში სასოფლო სკო-
ლა? ეს, კარგად მოგეხსენებათ, ძალიან თავ-სამ-
ტვრევი კითხვა არ არის და არც სადავო-საჩხუ-
ბარი. თუ სკოლა არის—ამით ქვეყანა არ ამენ-
დება და თუ არ არის—არც ამით დაიქცევა. მა-
გრამ სიცრუის ეინს წაუტეხებია ერთი წვეელი
„კორესპონდენტი“ (აღბად რომელიმე გაჩერი-
ლაძე) და მოუწერია: ს. წვეაში ერთი სკოლა
არ არსებობსო (მოგენსენებათ რომ ეს ვახლავთ
მუდამ კორესპონდენტების სავალალო—საჩივარ-
ი). მერე მესამე დღეს იბეჭდება „ივერიაში“
წერილი მ. მაკარი გაჩერილაძისა, რომელიც
ამბობს ამ სოფელში 18 წელიწადია სკოლა
არსებობს და რამ დააბრმავა თქვენთან ამ ამბის
მომწერიო.

ბამბის საჩიერლზედ დაჩეა კი ვაგვიგონია,
მაგრამ ტყუილ-მართალი ამბების აჩიერ-დაჩიერ
რა საკადრისია, ბატონო გაჩერილაძეებო, მერე
ისიც გაზეთის ფურცლებზედ. შეიბრალებთ ჩვე-
ნი თვალები და ყურები, შეიბრალებთ თქვენი
თავი, იკმარეთ და ვაკამარეთ.

დროა, მეორე „პატივცემულმა“ გაზეთმა
„ნოვოე ობოზრენიეზს“ იკმაროს და ვაკამა-
როს თავის ზოგიერთა თანამშრომლების ნაწარ-
მოები. წარმოიდგინეთ, კაცის კვლა მოხდება
სადმე, ქურდობა, თუ ცემა-ტყეპა, ამ გაზეთმა
გამოძიებამდე უნდა აღსწვანას ბაგენი თვისნი,
დამნაშავეც დაასახელოს, ხან ერთის პირის დანა-
შაული მთელს ერს გადააბრალოს, შესაწყნარე-
ბელი საბუთებიც იპოვნოს, შეუწყნარებელიც,
ერთის სიტყვით ისე მოიქცეს, თითქოს სასამართ-
ლო საჭირო აღარ იყოს ჩვენში და ამ გაზეთს
შეეძლოს მაგიერობის გაწევა. იქნება ზოგიერთა
ახლად გამოცნობილ აბლოკატებს სასამართლო-
ში კოჭი აღჩეს ვერ დაუჯდათ და ყოველად წამე-
ბულ გაზეთის ფურცლებზედ ანავარდებენ თა-
ვიანთ კალამს, რა კი ენის ნავარდობა ვერ მოუ-



საქართველო
საქართველოს
საქართველოს

ხერხებით, იქნება ეს ასე იყოს და გულგუთი-
ლობად უნდა ჩაეთვალოს გაზეთს, რომ ბედი-
საგან დაჩაგრულებს თავის კალთას აფარებს და
გულს იმითი უკეთებს, რომ ჩემს ფურცლებზედ
რამდენიკ გინდათ ივარჯიშეთ, მოსამართლე ვერ
გაგაჩერებთ და ხელს ვერ შეგიშლითო. ეს უველა
კარგი, მაგრამ რად ავიწყდება „ნოვოე ობოზ-
რენიეს“ ის სახანბანო წესი ლიტერატურისა, რომ
ვიდრე მოსამართლე თავის განაჩენს არ წარმო-
სთქვამს, გაზეთს არა აქვს ნება არც იურიდიული
და არც ზნეობრივი გამოძიებას წინ უსწროს და
დამნაშავე დაასახელოს.



ამ წერილს ისე ვერ გავათავებთ, რომ ერ-
თი ამბავი არ შევატყობინოთ ჩვენს მკითხველებს:
ფრანკუზმა მურიემ, რომელსაც ჩვენი საზოგადო-
ება კარგად, ძალიან კარგად იცნობს, გამოსცა
პატარა ბროშიურა რუსთაველზედ და „ვეფხვის
ტყაოსანზედ“. როგორია ეს ბროშიურა, რას ამ-
ბობს ავტორი ჩვენს პოეტზედ და მისს
თხზულებზედ, ვგონებთ, ცალკე დასაბუთად
დირღეს.

სასცენო ხელოვნება

ლიქსია

(დასასრული)

ესთქვათ რომ აქტიორმა ხმის ხმარება საფუ-
ძელიანად შეისწავლა და როლის თამაშობის მეტი
არაფერი აკლია. მაგრამ აქაც არ არის დაბოლოვე-
ბული აქტიორის შრომა. როლიც არის და რო-
ლიც. ზოგი როლი სრულებით მშვიდე მიმდინარეო-
ბისაა—ესე იგი როლში სრულიად არ არის ხოლმე
პატეტიური ადგილები, სადაც აქტიორი დაეწევაში
შედის. მაგისთანა როლებში ხმის ხმარება ადვილი
საქმეა, თუ კი აქტიორს დიკცია შემუშავებული აქვს,
მაგრამ სულ სხვა არის ტრადიკული როლები. აქ
აქტიორი მომეტებულათ დამოკიდებულია როლის
სიძლიერისაგან და თავისი ტემპერამენტისაგან. ამ
შემთხვევაში ღიდი სიფრთხილე ჰმართებს აქტიორს;

რომ ხელოვნურად და სწორეთ გაატაროს ტემპი-
როლი. ზოგი ადგილები ისეთია, სადაც ადვილება
აქტიორისათვის აუცილებელია და მაშასადამე ნა-
მდვილი დიკციადგან გადახტომა; ყვირილი და ხმის
წასვლა ამ შემთხვევაში ძალიან ხშირი მოვლენაა.
ამიტომაც როგორც ყოველ მოჯირითეს ეჭირება
კარგათ გახედნილი და მორჩილი ცენი—ისე აქტი-
ორსაც უნდება გავარჯიშებული ბუნებრივ მდიდარი
ხმა, რომელმაც არ უნდა უმტყუენოს გაქირებაში
და ყოველი განსაცდელიდგან გამარჯვებით გამოი-
ყენოს.

ჩვენ ამას წინეთ ესთქვით, რომ დეკლამაციისა-
თვის არა კმარა მარტო ხმის გავარჯიშება, არამედ
საქირთა აგრეთვე ნიჭი და ტალანტი. რაში მდგო-
მარებს ეს ნიჭიერება, ეს ტალანტი? იმაში, რომ აქ-
ტიორმა ან დეკლამატორმა უნდა გვიჩვენოს, დაგვი-
ხატოს, ნათლათ წარმოგვიდგინოს რომელიმე პოე-
ტიური ნაწარმოების სიმშვენეირე, ღირსება, მისი ღია-
ლობა და მნიშვნელობა, რომელთაც მომეტებულათ
ჩვენ ისე ვერ ვარჩევთ და ვერც იმდენად ვგრძნობთ,
როგორც მაგალითად სცენაზედ. როგორ დაგვანა-
ხვებს აქტიორი ხსენებული ნაწარმოების ღირსებათა
თუ კი თვითონ არ ხედავს იმათ? და სწორედ ამაში
მდგომარეობს აქტიორის ნიჭიც: ჯერ თვითონ დაი-
ნახოს და მერე ჩვენ დაგვანახოს თავისის თამაშო-
ბით, თავისის ხელოვნებით.

აქტიორი როლებში უნდა ექებდეს ისეთს რამეებს,
რომელნიც ჩვენზედ ზედ-გავლენას მოახდენენ და
რომელნიც, იმავე დროს, ხელოვნების წინააღმდეგნი
არ იქნებიან—მაშასადამე აქტიორი როლის სწავლის
დროს სხვა ნაირათაც შრომობს, ესე იგი, იგნებს
პოეტიურ ნაწარმოებს და ამასთანვე კრიტიკულათაც
ზომავს ყოველს შეგნებულს, რათა ამ კრიტიკულ
მოსაზრებით, რაც რომ ცუდია როლში მოაკლოს და
რაც კარგია და გამოსადეგი—პოუმატოს და
შეაესოს თვისის ფანტაზიით და ნიჭის ძალით. საზო-
გადოთ ყოველი მწერლის გაგება და დაფასება შეი-
ძლება მხოლოთ მისის ნაწარმოების წაკითხვით. წაკი-
თხვა, რა თქმა უნდა, ყველას შეუძლიან, მაგრამ
დაფასებაზედ კი რა მოგახსენოთ.—აქტიორ-დეკლამა-
ტორის შრომა ისეთია, რომ ეს დაფასება უთუოდ
უნდა მოახდინოს, თორემ როლის წარმოდგენასაც
ვერ შეიძლებს. აი, რას ამბობს ლეგუევი: „აქტიორ-დე-
კლამატორი არის კრიტიკოსი და მსაჯული—რომ-
ლის წინაშე იშლება ყოველ გვარი შეცდომანი მრავალ
თათვის შეუმჩნეველნი. რამდენი სამწუხარო რამე
აღმომიჩენია მე ჩემს სიცოცხლეში დეკლამაციის მაღ-

ლობით. რავედნი გამოჩენილი მწერლები, რომლებიც საგან წინეთ აღტაცებაში მოვლილი და ესლა იქნება თქვენც იყენეთ აღტაცებულნი,—დღეს ჩემ თვალში სულ სხვა ღირსებისანი არიან—დღეს მე ნათლათ ვხედავ მათ ნაკლულევენებას. როგორც ამბობენ ხოლმე: ესა და ეს საგანი თვალში შემეფეთაო, მეც ისე—სუსტი მწერლის მხარე მაშინათვე ყურში მომხედება, ან თვალში შემეფეთება ხოლმე».

მართლაც, დიკცია უეჭველათ თხოულობს ხმა მაღლივ კითხვას, მაშასადამე აქტიორს თავისი წაკითხული უთუოთ უნდა ესმოდეს, და როგორც მოგვხსენებათ ყური კი მეტად ცქვიტი დარაჯია: ის შეუმჩნეველათ არაფერს არ გაუშვებს; ყური გრძობს, ყურს ესმის, ყური ხედავს, როგორც მაყურებელი ხედავს და ესმის აქტიორის ყოველი სიტყვა, ისე აქტიორსაც ესმის თავისი სიტყვები და იმ ზედ-მოქმედებით, რომელსაც ახდენს მაყურებელზედ, აქტიორი ზომავს თავის წარმატებას და ღირსებას

სასცენო ხელოვნების ისტორიაში ბევრი მაგალითებია, როდესაც კარგი დიკციის პატრონ აქტიორებს ხშირად ისეთი ზედ-მოქმედება ჰქონიათ მაყურებლებზედ, რომ მთელი თეატრი, დიდი და პატარა, სულ ერთიანათ აუტირებიათ. ამისი მიზეზი, რა თქმა უნდა, თავ და პირველათ აქტიორის ნიჭია, მაგრამ ნურც იმას დაევიწყებთ, რომ ბევრნი ნიჭიერი აქტიორები მოკლებულნი არიან ასეთს ძლიერს გავლენას, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი დიკცია ცოტათი კოჰლაობს. თუ აქტიორი ათას ნაირ ტონებით და სხვა და სხვა ხმის აწევ-დაწევით აძგერებს ჩვენს გულს, ათრთოლებს ჩვენს სხეულს—ეგ მომეტებულათ ისევ იმ დიკციის მაღლობით ხდება; კარგი დიკცია უხეირო თამაშობას და თითქმის უნიჭობასაც ჰფარავს.

ძნელი საქმეა ლექსების კითხვა. თუმცა დეკლამაციის კანონები ისეთივეა, როგორც დიკციისა, მაგრამ დეკლამაცია მეტს ჯაფას, მეტს დაკვირვებას და მეტს ხერხს თხოულობს. ლექსების კარგად კითხვა ისეთივე იშვიათი მოვლენაა, როგორც კარგი ლექსების წერა. დეკლამატორის ნიჭი უფრო ერთ მიმართულებისა და ერთ მიმდინარეობისაა. აქტიორს ბევრი სხვა და სხვა საშუალება აქვს როლის ხეიანიად შესრულებისა. სულ სხვაა დეკლამატორი. აქ საქიროა, რომ მკითხველი—დეკლამატორი მთლად შეუერთდეს პოეტის სულს, მთლათ გადაიბადოს და აჩქეფოს თვისი გრძობები პოეტის გრძობების თანაბრად და შემდეგ ეს გრძობები და ფიქრები ხმამაღლა გადმოგვეს და არა ისე, როგორც პოეტი:

მკვდარის ნიშნებით — დაწერით. ბევრი პოეტი, რომელსაც თავისი ლექსის ხეიანიად წაკითხვა სრულებით არ შეუძლიან. ჩვენის აზრით კიდევ ეგ სიძნელეა მიზეზი, რომ «აქტიორობა» ყოველს კაცუნას შეუძლიან და დეკლამატორობა კი არა. ლექსების კითხვაში დიდი დაფიქრება უნდა თვითონ ლექსის შინაარსს, დედა-აზრს და მერე ლექსთა წყობას—მის ზომიერებას. ზოგი ლექსი კარგი წასაკითხავია, პირ იქით ზოგი სულ არ ვარგა წასაკითხავად, ზოგი მშვენიერია მარტო საძღერლათ, საზოგადოთ კი უფრო ადვილი წასაკითხავი და უფრო მეტს შთაბეჭდილებას ახდენენ მრავალ-მარცლოვანი ლექსები.

ხეიანი დიკციის და დეკლამაციის შესწავლა მარტო აქტიორს კი არ ეკირება, არამედ ყველას. ყველასათვის საჭიროა ჯეროვანად დიკციის ცოდნა და განსაკუთრებით ყოველი განვითარებული საზოგადო მოღვაწისათვის, რადგან მათი შრომა და სარბიელი მომეტებულად საზოგადოებაში ტრიალებს, სადაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს კარგი, დალაგებული ლაპარაკი—ჯეროვანი დიკცია. რადგან საზოგადოების ყოველ წევრის მონაწილეობა საერთო საქმეში თან-დ-თან მატულობს და რადგანაც ეს მონაწილეობა გამოიხატება მრავალ თათბირით და სჯით, ერთი სიტყვით პარლამენტური საჯარო ხასიათს ლებულობს, მიტომაც ხელოვნური ლაპარაკი—ორატორობა ყველასათვის საჭიროა, ვისაც კი საზოგადო საქმე უყვარს და ჰსურს კიდევ ამ საზოგადო საქმეში გარევა. ამის მოთხოვნილება უკვე დაეტყო ჩვენს საზოგადოებას. აგერ რახანია სათავად-აზნაურო კრებები და ბანკის სხდომები არსებობენ, მაგრამ ჯერჯერობით თითო-ოროლა ორატორის მეტი არა ჰყავს ჩვენ საზოგადოებას; ამიტომ სასურველი იქნებოდა, რომ აქტიორების გარდა სხვებსაც მიექციათ ღირსეული ყურადღება ხელოვნური ლაპარაკისათვის—დიკციისათვის.

ბოლოს ესლა შეგვიძლია ესთქვათ, რომ დიკციის შესწავლა და გაუმჯობესობა იმ სახით, რა სახითაც მოგვეყავს ამ წერილში მეტად მარტივი და ადვილი ასასრულებელია. ამით დავაბოლოებთ ჩვენ წერილს, რომელიც, რა თქმა უნდა, მრავალ ნაკლულევენებით სავსე იქნება, მაგრამ ჩვენ ის გვაიმედოვნებს, რომ ჯერ-ჯერობით ამ საგანზედ ჩვენს მწერლობაში არაფერი თქმულა და მაშასადამე პირველი



ჩვენი ცდა სხვების წადილსაც გამოიწვევს და ამ გე-
რად რაც დღეს არ გეკმაყოფილებს შეიძლება ხვალ
გასწორდეს, შემეშადეს, და ბოლოს სრული დი-
კციის ტოროც გველიროს.

ვალიყო—

ხელოვნური პოეზია

პოეზია

(ერთი მოთხრობიდან).

დღეს რამდენი მოშაინობს ჩამოკოვალა მე რა ერთიმ
ხათხათით რითხათხათ: პოეტია—ასში ერთი..

პოეზია ქვეყანას, სად მოვლავლავს კაცი-დმერთი,
სად მუშაობს ჭკუა-გრძობას, მტვიცრად ერთათ შენაერთი.

მოამისმინეთ, ჩამოკოვალა მე პოეტია თვისებანი;
ვისაც უნდა, თარი უკანს, ვის—ჩანგური, ვის—უბანი:
მაგრამ თუ რომ ვისმე არ აქვს დამკურავლის დისკუბანი,
ისე წვრილიც ვერ აწვრილავს, ვერც ახანავს ისე ბანი.

პოეტს უნდა გული ჭკონდეს გრძობით სავსე, ზღვის
დაწი:
ხან დაატვოს თვისი ძეგრა, ვით ზღვა წყნარი, ჩუმი,
მტკბარი.
ხან ავლდეს და აშოფთდეს—ზღვა მშოფთვარი, ზღვა
მკენესარი!
ხან მკვლავს სისხლი გაუღვიძოს, ხან ცოცხალი შეჭმინას
მკვლავი!..

პოეტია მხოლოდ იგი, ვის სავსე აქვს ცრემლით გული,
ვის უგრძობია, ვისაც ესმის ზეციური სიყვარული,
ვის ავლევებს სხვისი ცრემლი, მწუხარება, სისარული,
ვისაც უშოფთს და უგრძობს მომძეთათვის გული, სული.

პოეტია მხოლოდ იგი, ვის გული აქვს საწერელად,
მელნისა წილ—ტბა ცრემლისა, კალმის ამოსწებულათ,
თავში ჭკუა და გონება მოთათბირეთ, გამჩრეკულათ,
გულში ცრემლი ღვთაებრივი, დამდნობულათ დამწვეკულათ.

პოეტია... მაგრამ კმარა, — რათ ვიღავს ტყვიას
მოკლეთ ვიტყვი: დროს ნუ ჭკარავთ, მოლკქსენო, თქვე-
ნს ლხენას,
ქანს ნუ ატყვით ტყვიას სიტყვებს—ქვეით ზენას, ზე-
ვით—ქვენას,
და ნუ ჭკიდებთ კალამს ხელსა, თუ ვერ ატვობთ გუ-
ლის სქენას.

სილოვან.

ბაირონიდავ.

დაბრუნდა შინ მეწისქვილე;
— ქალი, ეს რა წადლებია?
— „ჰაი, მე ლოთო, უმგზავსო,
თვალეები ავჭრელებია:
სადა ჰხედავ აქ წადლებსა,
ეს ხომა საწვეფელია!!!...
— ორმოცის წლისა ვსრულდები,
მომივლია მთა და ბარი
და ჩემს დღეში არ მინახავს
საწვეფელზედ რეინის ნალი...
ი. რევიშვილი

თუ შამგლამ ისევ შინ შამგლავ,
ქალავ, თავ-დანრით მცინარო,
დღეს ჩემის პირის მკაცრელო
ხვალ სხვისთვის ძუძუს მრონარო.
წყუთი იყოს დგთისავან
ის დღე, როდესაც ვნახეო,
შენი ფოფინა თვალეები
და მოვლვარე სახეო.
შენშია ვნახე ქვეყნისა
სიკეთე რაც-კი არია,
შემოგნატრიდენ ზეცანი
და თავს გიკრავდა ბარია.
რად გინდა ეშმაგის კერძო,
მასვა სასმელი მწარია?!
არ დაინდობა დიაცი—
მიწვივ ორპირია, ფლიდია,
როგორც სავადად ბეწვისა
ზღვას გადაბუღი ხილია.

ვაჟა-ფშაველა.

პრიტიკა და გიგლიოზრალია.

(წერილი რედაქციის მიმართ.)

სათავად-აზნაურო ბანკების გამო.

ბ-ნ რედაქტორო! რადგან ამ საგნის შესახებ ერთი წერილი დაბეჭდეთ თქვენს პატივცემულ გაზეთში, იმედი მაქვს მისს შემდეგებსაც დაბეჭდავთ, თუ წინააღმდეგნი არ იქმნებიან თქვენის პრინციპის და საზოგადო ინტერესებისა.

...ყოველი ბანკის მონაწილე ჭკმისხარს ჯერ ერთი ამას, რომ ფულს საზოგადოება მოაქვს მაშინ, როდესაც საქმის ცოდნა და თვალხილული შრომა მიუძღვის მას; მეორედ—ამას, რომ უპატრონო ცხვარს მტკელი შესჯამს უთოოდ დღეს იქნება, თუ სჯალ.

ამ დასკვნას შემოწმებთან ბ. აგაგი წერეთელიც და «ივერიის» რედაქტორიცა. პირველი ამათგანი თვისს წერილში, სხვათა შორის, ამბობს, რომ «კრებაში მეტონილი სიტუაციის ხმა არამც თუ რჩება ხმად მლალადებულად უდაბნოში, არამედ ბანკის მტრობადაც ჩაითვლება ხოლმეო». მეორე ამათგანი «ივერიის» № 101-ში ჭბრანებს, რომ «პირველ ხანებში ბანკების საქმეებს ორიოდ კაცი თუ აღევნებდა ყურსაო, თორემ ბევრისათვის კი ეს ახალი საქმე არასფერს საინტერესოს არ წარმოადგენდაო.»

მაშასადამე სჯულთ რუმტიციესი ჩვეულების სრულებით დატოვება და სვალესათვის ცნობიერის მზრუნველობით შეტურება ჯერ კიდევ სანატრელი საქმე ყოფილა, და ამისათვის რაც ხშირად ითქმის სიტუება ბანკების წარმოებაზე, რაც უფრო ნაკლებ დაიფარება დასაწინა მოქმედება და მეტად აღმოჩნდება მოსაწონი,—მით უფრო მეტს გამოვიწვევთ სიტუებისა და მოქმედების ასანაწიზედ ამათ, «ვისაც საზოგადო საქმე უყვარს, ვისაც საზოგადო საქმის მნიშვნელობა უცნია და ძვირად უღირს მისი ავკარგიანობა». ამ გამოწვევას უნდა ვსცდილობდეთ უფრო იმიტომ, რომ გამოწვეულთ რიცხვის «მატება ნიშანი იქმნება გულის ტივილისა საზოგადო საქმის მიმართ, მეტადრე რომ ამ გულის ტივილის მატებაშია საქმის წარმატების იმედი».

ამის გამო, მეც მინდა ისე ვწვლად ვილაშჩავო ჩვენი თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის წარმოებაზე, როგორც ილაშჩავს ბ. «ივერიის» რედაქტორმა, მხოლოდ ჩემი წერილიდან გამოკვლება: ა, ამისთანა უსახლო წყვედრება—წაძხილს, რომელიც ბანკის საქმეს სრულებით არ ეკარება, მაგალითებრ: ბ-ნი დიმიტრი უიფიანი რომ ამედებდა თავად-აზნაურობას; სამოცს თუძანს გამოკითხვით თვითო განთავისუფლებულ

გლესის სასლობაშიო, და სხვათა ამგვარად; წყვედრებამ გვართა წყვედრებათა მიზეზს და მნიშვნელობას ერთად მოკუერთით თავსა, რომ შემოკლებით გაიანჯროს მათი ღირსება; გ, მათგან გამოწვეული არითმეტიკის ანუ აღჯებრის გასინჯვას მოკუარიდებით, და დ, ბ-ნი «ივერიის» რედაქტორს ვერ დავპირდები, რომ ჩემის წერილებით გამოცხადებული სიყვარული საზოგადო საქმისადმი და გულის ტივილი მან იცნას გულ-წრფელად და ცნობიერად ისე, როგორც შეიწყნარა მან კრებისგან გამოცხადებული სიყვარული და გულის ტივილი. ამ ჩემს უიმედობაში საკითხავი და გამოცხადება არა არის რა: კრებამ მიიღო და შეიწყნარა ყოველი იგი, რაც ენება ბ. მმართველს, მანაც შეიწყნარა კრების სიყვარული და გულის ტივილი საზოგადო საქმისადმი. ტბილის სანატრლოდ ტბილითვე მიაგო, როგორც ყოველ-დღიურ ცხოვრებას უსწავლებია. ხოლო მე, როგორც მოძულე ერთ-ნაირობისა, მწარეს ვიტყვი, მწარეს გავიგებებ, რასაც გავსცემ მის გავსავე სანატრლოდ კვლადები.

ამ დაშინავს მამედვინებს ერთის მხრით თვითონ ბ. «ივერიის» რედაქტორი, რომელიც იმავე № 101-ში ბრძანებს:

დღეს ბანკზედ, ავად, თუ კარვად, ყველგან ლაშარაკობენ, მისს სვე-ბედზედ სჯა და ბაი-ი აქვსო, მის განკარგებისა და საკუთლო და სამიღო გზაზედ დაყენების გამო ჰვიქრობენ, ნაკლს და ღირსებას უჩნროვენ, უსინჯავენ, და ჩვენდა საბედნიეროდ ესეც უნდა დაუფუტოთ, რომ თან-და-თან უფრო ცნობიერად, უფრო მომეტებულის ცოდნით (ამ წერილში ორდერ არის ნახმარი ერთად ეს სიტყვები: «უფრო ცნობიერად, უფრო მომეტებულის ცოდნით») ვჭკობნებ მრავალ—სიტყვაობის სიყვარულით) უფრო დიდის გულ-წრფელობით საქმისადმი, უფრო მეტის სიყვარულით ეყიდებიან ბანკის ავკარგიანობის ყოფასა და სვლასა.

მეც კვდები უფრო დიდის გულ-წრფელობით და უფრო მეტის სიყვარულით, გულ-ანდილად ვილაშჩავო ბანკზედ და გაუსინჯო მისს წარმოებას ნაკლი და ღირსება, მხოლოდ, როგორც შემთავს ვსთქვი, ჩემ ნებად არა არის, არ შემომდინან ეჭვს გარედ დავაყენო ჩემი გულ-წრფელობა, ჩემი სიყვარული და გულ-ანდილობა, იმიტომ არ შემომდინან, რომ ამის მიზეზები სუბიექტიურია და როგორც ნაწერის თვისებას, ისე გარეგან გრძნობათ დამოწმებას არ ექვემდებარება.

რომ ყოველი იჭვიდგან გამოკუსულ-გიყავ შესახებ ამისა, თუ რაოდენ მართალია ნება-ართვა ბანკზედ დაშინავისა, ან სამზღვარი ხომ არა უძვეს რა, რომლის გარეთ ყოველი სიტუება მომაკვდინებულ ცოდვად და საზოგადო საქმის მტრობად ჩათვლება მთქმელსა; ჩამოეთვალე ხსე-



ქვემოთხაზი
ქვემოთხაზი

ნებულს № 101-ში სიტყვები: საზოგადო საქმე, ბანკი, ბანკისა, ბანკზედ, ბანკისათვის, და რეკორდ მანის არის ნახშირის ეს ერთი და იგივე მნიშვნელობის სიტყვები იმ პირობით, რომ ბ. რედაქტორმა გასეთის მკითხველებს გაუზიაროს თვისი გულ-წრფელი და გულანხილი სიხარული, გამოწვეული იმ მოგუენისაგან, რომელსაც უწოდენ ბანკზედ ლაშარაკს, ბანკის სგებელზედ სჯას და ბასს, და კიდევ იმ პირობით, რომ აქოს-ადიდოს იგინი, ეიცე ჰეიქრობს ბანკის განკარგებისა და საკეთილო და საიმედო გზაზედ დაყენების გამო და ისინიც, ვინც ამ ჰასრით უხსრევენ, უსინჯვენ ბანკს როგორც ნაკლას, ისე ღირსებასაც.

და რომ ამ გვარად ნება-რთვასედ დაწმუნდი, შემოკითვარულე ხასი, რომლის გარეთაც არ უნდა წამოძღუნოდა არც ერთი სიტყვა მომაკვდინებულ-ცოდვად და საზოგადო საქმის მტრობად ჩასათულები, და ამ თვარგაღს შიგნით ვუბნებოდი ამ წერილის გავრემელებს, მცგრამ უგრად წავაწედი კიდევ სხვა დაბრკოლებას, ანუ ხარისხსა, როგორც უწოდებს და მიღებულე აქვს გასეთ «იუერიის» რედაქციასა.

«იუერიის» № 102-ში ბ. რედაქტორი ჯერ გვანცობებს რა არის თვით მოქმედება კერძო კაცისა, ან საზოგადოებისა; მერმე გვიხატავს რა სასრებლობა მოაქვს თვით თვისით საქმის ახენსა, კაძღლვას და გატანას, ამბობს რომ მარტო იგი შრომაა, იგი გარჯვა ნაყოფიერი, რომლის საძირკველიც, ანუ სათავე საკუთარი თანხრობაა, ძაღ-ღონე კიდევ—საკუთარი მარჯვენაა.

საცა ეგ თვით მოქმედება გაღვიძებული არ არის, იქ კერძო კაციც ცაღვი და საზოგადოებაც საერთოდ ფერმკრთალია, უღონო და ცოცხალ-მკვდარი. ერთი ამისთანა ნაყოფი თვით მოქმედებისა თბილისისა და ქუთაისის ბანკებია... იგინი ჩვენის სიკუთარის თანხრობით არიან დაარსებულნი («МЫ ПАХА.И») და ჩვენის საკუთარის ღონით წარმართულნი.

სინიდაისანად საქმის განსჯისათვის საჭიროა იცოდნენ ამდენი უბრალო მითქმა-მოთქმის წამკითხველთა, ვინ იყო მიზეზი და მოთავე იმ თვით მოქმედებისა, რომლისაც ნაყოფი არის თბილისისა და ქუთაისის ბანკები თვისის საკეთილო შედეგებით. ამ თვით-მოქმედების ერთად-ერთ მიზეზად და მოთავედ ჭორი სახელებს ღიმიტრი ყიფიანს, და თუ ერთს ვისმეს ან თვითონ მოსულია ფიქრად ამ გვარი თვით-მოქმედება, ან სხვისაგან ვისგანმე გაუგონია, ვადრე ყიფიანისაგან გაიგონება, იმან გამტყუენოს ეს ჩემგან გაგონილი ჭორი.

თუ ეს ჭორი გამტყუენდა და ჭორად გამოდგინდა მაშინ რაც «იუერიის» რედაქციამ ბრახები მიყარა დიმიტრი ყიფიანს სრულებით სამართლიანად მივიღოთ, თუ არა და „იუერიის“ № 146 დამკვირდიში მოყვანილი სიბრძნე: «ღღეს თუ ხელო ურცხვობა უნამუსობად გარდაიქცევაო» უნდა ჭეშმარიტებად მივიღოთ სამწუნსაროდ ყოველი გულ-წრფელისა და სინიდაისანობის მოყვარული კაცისა.

მიუგებრედთ იმ დაბრკოლებას, რომელიც შემთხვას ამ წერილის წინ-სლვას შემოკლებულს თვარგაღს შიგნით.—აქო რა ბ. რედაქტორმა კერძობითი და საზოგადო თვით-მოქმედება, აგრეთვე ნაყოფი ჩვენის თვით-მოქმედებისა (ჯერ არა სჩანს ვისი თვით-მოქმედებისა), ესე იგი ბანკები და მისი შედეგი,—ბოლღის ჰბრძნებს:

ჩვენსა სამწუნსაროდ, ეს მნიშვნელობა მათი ჰვერს ჩვენგანს გულსა და გონებაში ვერ მოუთავსებია, ვერ მოუნელებია და ამიტომაც არა ერთხელ რისხვითა და წყრომით გამოლასქრებულან ბანკებსა და მათს მნიშვნელობაზედ. არამც თუ ჩვენი დაბალი ღობის პუბლიცისტები, არამედ მოღვექსენიცა და მათ შორის სახელ-განთქმულნიც არ ერიდებიან ბანკების ავად ხსენებას და სახელის გატენასა. რისთვის და რადა? სწორედ მოგანსენოთ ბევრჯერ დაუკვირვებიათ ამისთანა ამბავს და წყრომისა და რისხვის მიზეზი ვერ გვიმოვია, იმისთანა მიზეზი, რომელიც დამედარს და ნათქმის მსჯელობას ემსახება.

ამ გვარევე დრტენვა იყო ისევე ამბვე ბ-ნი რედაქტორისაგან დაბუჭილი 1883 წელსა უყრსალ „იუერიის“ V და VI №-ში მიმოხილვად წოდებული. ასე და ამ გვარად მოგვეცა გამოცანა: შეიძლება და სასარტებლად ბანკზედ, ბანკის მნიშვნელობაზედ, ბანკის ავად, თუ კარგათ წარმოებაზედ წერა და ლაშარაკი, თუ არ შეიძლება და სასარტებლო არ არის; ან იქნება ლაშარაკი შეიძლებადეს და წერა კი არა, ან წერა შეიძლებადეს და ლაშარაკი კი არა; ან ვის ეძლევა ნება სწეროს, თუ ილაშარაკოს ბანკზედ და ზემო ხსენებულ—საგებზედ. ამბების გამოცნობამდის წერა და ლაშარაკი ბანკზედ არ მოუსერსდება იმას, ვისაც არ უნდა საზოგადო საქმის მტრად შეირაცხოს. ამ გამოცანამ მიმასკედრა რაში მდგომარეობს სიბრძნე და ძაღა იმ სიტყვებისა, რომელნიც სხვათა შორის ითქვა წინამძღვარინთ კარის სკოლაში, ვჯგონებს სწავლის დასაწყისშივე: „კაცი უნდა ხერხი იყოს, გავიღეს და გამოვიღეს.“

თუძცა ეს გამოცანა და მისი მოძეკში კადი-კადი-ღიანს, როგორც სერსი ორმსრავ-მკვეთელი, და მისი დამოცნობა მუტად საძნელაა, მცგრამ თუ ძველი ანდაზა ცდას ბედის მონასკერდა სთვლიდა; მე ბედს გარემედ

ცდაში გზად უკვე დასრულდა, და ამისთვის ესცდი, უკვე, ორ მხრივ მკვეთლობა ერთს მხარეს მოკუჭვით ამ ერთს შემთხვევაში მინც და იმდროს მივიტანოთ ძალა დასამოწმებლად, ესე იგი, გამოცანას გამოსაცნობად.

„ივერიის“ № 101—ში რედაქტორი ცხადად გვიმტვიტებს თავის განუსაზღვრელს სინარულის იმ მოკლეების გამო, რომელსაც უწოდს იგი:

აუად, თუ ვარგად ლაპარაკს ბანკზედ, სჯას და ბასს მისს სვე-ბედზედ, ვაჩხრეკას, ვასინჯვას მისი ნაკლისა და ლირსებისა; ეს აღტაცება გამოიწვია წლევიანდელმა კრებამ ბანკის წევროთა.

და მასხადამე ყველა წევრს უფლება ჰქონია ამ საგნებზედ ლაპარაკისა. წერის უფლება ყველა ბანკის წევრთათვის იქიდგან მოჩანს, რომ ჯერ თვითონ ბ-ნი „ივერიის“ რედაქტორი მრავალს სწერს ბანკზედ, მისს მნიშვნელობაზედ და კეთილად წარმოებაზედ; მეორე იქიდგან, რომ სჯა და ბასი ბანკის სვე-ბედზედ, ავ-ვარგინობაზედ, ვასინჯვა მისის ნაკლისა და ლირსებისა ფიქრი მისს საკეთილო და საიმედო გზაზედ დაყენების გამო.

ბანკის წარმატების ნიშნად მივიღეთ ბ. მმარტუელის წინამძღოლობით, მას უთუოთ ნება გვექნება შევეძლოთ ამ მოქმედებებს იმ დროით, რა დროც სულთ გვიჭირავს: ზეპირ, თუ ქალაქით, ერთად კრებაში, თუ ცალ-ცალკე თავ-თავისს ვუთხილგან. ამას გარდა ბანკი უსულო და უსორცო საგანია, და ასეც არის მიღებული თვით ბ. რედაქტორისაგან, რომელსაც უწოდებს მას ნაყოფად ჩვენის თვით—მოქმედებისა: მასხადამე წარმოსადგენი არ არის, რომ ან დასწეროს ვინმე მისი საწყენ-სატყუარი, ან მას ჰქონდეს გრძობა და უფლება, რომ იწეინოს, ან იტყინოს ნაწერ-ნათქვამისაგან, რაც ვინდა დაატყვი ამ ნაწერ-ნათქვამისა: გინდ გამოლაშქრება რისხვითა და წყრომითა, ყუმბარებითა ცა! როგორც უწინაღ № 1 „ივერიის“ სწერდნენ 1883 წ., გინდ პურ-მარილით და თეთრი კბილებით მიგებება ზავის ნიშნად, მას რაში მდგომარეობს საქმე, ვისზედ და რაზედ არის ლაპარაკი, ან წერა, რომელნიც ხან მოსწონს ბ. „ივერიის“ რედაქტორს ხან დასწერს—„ივერიის“ 102-ში ბრძანებს ბ. რედაქტორი:

საცა ეც თვით მოქმედება გავიძიებელი არ არის, იქ ვერძო ვატიც ცალკე და საზოგადოებაც საერთოდ ფერ-პერძალია, უღონო და ცოცხალ-მკვდარი.

და მასთან სათავად აზნაურთა ბანკებს უწოდებს ნაყოფად ჩვენის თვით—მოქმედებისა. ეს ორი მისივე სიტყვა ცხადად და უცნობლად გვიხატავს, გვისახლებს ვინ, ვისზედ და რაზედ უნდა ილაპარაკოს, სწეროს. ვინც ამ ჩვენას შეადგენს, იმათზედ და იმათს მოქმედებაზედ უნდა იყოს წერა და ლაპარაკი. ამ ჩვენათაგან

იმით უნდა ილაპარაკოს, სწეროს, ესე იგი თვით-მოქმედება, ვისაც ეძულება ფერის-გრთობა, უღონობა და ცოცხალ-მკვდრობა, თუ არ გამოიღვიძა, არ თვით-მოქმედება. დასასლებით აი, ასე გამოითქმის; ჩვენა ვართ ბანკის წევრნი, გაყოფილი იმ უთანასწორო ნაწილად; ერთი მცირე ნაწილი მიჩენილი ბანკის საქმეების საწარმოებლათ და მახლობელ ზედა-მხედველად; ამ მცირე ნაწილს, როგორც სასუიდელოთ დადგენილს, ვითხოვს მოქმედება იმ წრეში, რომელიც შემოუფარგლავს მათთვის ბანკის წესდებს და კრებათაგან დროითი-დროდ დადგენილობათ; ამას გარეშეთ ყოველი მათი მოქმედება, როგორც სასუიდელოთ დადგენილებისა, თვით-ხეობას, და ლაპარაკი თუ წერა უფრო ხშირად ამ მოკვლეობის შესრულება—შეუსრულებლობაზე და არა ფარ-ხაზად სახმარს ბანკზედ სათქმელის, ან თქმულის დასახლებლად. როგორც ბანკის წევრთ, ამ მცირეთ უფლებაც აქვთ და მოკვლეობაც, თავის მხრით თვით-მოქმედება აღმოაჩინონ ხელმე შემოტანით კრებაში ჰაზრთა და წინადადებათა, რომელნიც ბანკის წარმატებას ან სხვა რამე საარგებლობას გვაძრდებოან. მეორე ნაწილი—უმრავლესობა ბანკის წევრთა, რომელთაც უფლებაც აქვს და მოკვლეობაც, ფერის გრთობისა, უღონობისა და ცოცხალ-მკვდრობის განსარჩინებლად მანცა, რომ თვით-მოქმედება აღმოაჩინოს წევრითაც, ლაპარაკითაც და ყოველი სინიდაისანი დონის-ძიებითაც, ვაიცნოს და ვაცნოს სხვებსაც ბანკის მესხანში, გაუხსრივოს და გაუხსრივოს ყოველი მოქმედება სასუიდელოთ დადგენილთა მუშაეთა, მოურიდლად და თვინიერ შირ-მოთხეობისა გამოაშვარავოს ნაკლებეანება და ღირსება წარმოებისა და მწარმოებულთა. ესე იგი, წევრნი მოკვლენი არიან თვით-მოქმედების ძუძუთი ჰეცებონ და ჰხარდონ ბანკი.

თუ ეს ორ-მხრივ მკვეთელი ნება-რთვა, ანუ ხან ჭრა, ხან კერვა, იმისგან წარმოსდგება, რომ „ივერიის“ რედაქტორს ზოგის ნაწერ-ნაწილანაკვეი მოსწონს და ზოგისა დასწერს,—ამის მიზეზის განჩინება თვითონ იმასვე თუ შეუძლიან, რადგან სუბიექტიურობა და მისსაკვე ბუნებაში მდგომი, თორემ გარეშე მისს არ ეჭვედობა არაფერს დონის-ძიებასა და კანონებსა.

ყველანი თანხმად გაუხსნენ ბ. „ივერიის“ რედაქტორს, რომ ბანკს ორ გვარი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცნობრებაში: ნათიერი და ზნეობა-გონებრივი, ესე იგი, რომ ბანკი ჰწერთვის ყოველს მოხარდს ახალ-თაობის ძალ-ღონეს აძლევს, მამულის შემოშვებისათვის და წარმატებისათვის საარგებლობას მაგრამ ეს მეორე მნიშვნელობა როგორც უნდა შესრულდეს, თუ ჩვენს ჰაზრს არ ვიტყვი, არ დავსწერთ და მით არას გამოვიწვევთ სხვათა გონების საგანძიდგან.



საქართველოს
წიგნწერეთა კავშირი

ყოველი ზემო ნათქვამით, გვინებ, მდიდროდენ
დაკამტვიცნეთ, რომ არამც თუ უფლებას, სხეობრივი მო-
ვალეობაც გვექონია წერით და ლაშაჩაკით ესთქვით ყო-
ველ საზოგადო საქმესად და მისს მწარმოებლებსად ჩვე-
ნი უვარგისი ჭაზრი და მით სხვის ვარგისი ჭაზრი გა-
მოვიწვიათ.

გადაწყდა საბასო კითხვები და ვიწყებ ბანკსად
ლაშაჩაკს იმ საგნიდგან, რომელსაც ბ. ავაგი წერეთელი
უყუღმართ წარმოებდად უწოდებს და რომლის გასინჯ-
ვა—დაწლევას ბ-ნი „ივერიის“ რედაქტორმა რაღაც მი-
სყენით არ იწყება

22 ივლისი 1886 წ.

ალექსი კვალიაშვილი.

ქ. გორი.

(შემდეგი იქნება.)

ხალხური პოეზია

(გაგონილი და შეკრებილი თავ. რ. მირხთავისაგან)
(კახეთში გაგონილი)

ბატონის შვილს ლევანს,
მანგალიტის მტევანს,
მანდ რომ ბიჭი დავიკარგე,
აქ, განჯას, თათარს ვევეარს,
დღისით მიყრია ბორკალი,
ღამით ჯინჯილით ვევეარს...
ღამაწ-ღამაწო ვაყვარს,
ხულ ჩემო მახადგვარს,
მეკრძიფეთ თითო თუძანა,
ღამიხსენთ, თქვენი ტევეარს.

(იმერეთში გაგონილი)

მეფე ხვიდონს გამოუგზავნია კაცი მუხრან-
ბატონისა და ერთს დღეს მოსულა ოფიშქვითიდან
მუხრანსა. მამინ ახე უთქვამს გვასე ცხენისათვის:
ოფიშქვითიდან (1) გამოქცეულსა.
ცხენი წყალსა მთხავს მეჯუდასად, (2)
განწი, ტიელა, რა დროს წყლისა,
გაგარანინებ, განმეკ ქსანსად.

1) ოფიშქვითი—სოფელია, ქუთათის დაბლა.

2) მეჯუდა—მეფერებს გამოსდის და ლიხვს შეერთვის
გორის ქალაქთან.

ემსაკუნად ქალაქს წაველ,
ლეკს დაეგო ჩემთვის მასე:
ლურჯა ცხენი იქ დავკარგე—
ვიტირე და ვივარგასე;
ავიკიდე უნაგირი,
მერსხავით ვილასლასე.

რუსები რომ ქართლს მოვიდნენ,
ურემს დააქვეს არაბა.
ბიჭო, იქით გამეცალე,
ხუ გინდა დავი—დანაბა!

(შეკრებილი პლატონ ჩინჩალოძისაგან)

გავლს გამოვლს გიხდებს
დაბალ გომსად კადმოდგომს,—
წაუყვანულს არ დავკადებ,
თუ მობრუნდა შამოდგომს.

მახსანის პატარძლებს
დახე რა მიყვარს:
ხტვირი დამაკვრევენს და
თვითონ იტლინკებს;
ხტვირის გუდა დამიხიენს,
ტანთა ჩაიგვარს!


(შეკრებილი რ. მირზახანელისაგან)

(გაგონილი და შეკრებილი კნენა ნინო ორბელიანისაგან *)

ვლერაგ დღეს ჩემის გაჩენის, ბედნიერი ვარ მე, თასი:
სამღერალო ვარ ტურთა ხელთ და მოსალხინო მართასი!
მოკუდით სუკდით მაშკარაღსო, გასვით სასმული დემრთასი
და მემის გიქარვით გულისა, ვით ერთი, ჭირი თასი!

*) ეს ლექსი დაწერილია თავ. ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან
კნენა მართა ერისთავის თანხედ და ჯერ არსად დაბეჭდილია.
ჩვენ დიდს მადლობას ვუცხადებთ კნ. ნინო ორბელიანისას და
ვისურვებთ, რომ სხვებმაც მიჰბადონ პატივცემულ კნენას და
ყველა ამისთანა ძეგლი, დაბეჭდავი ლექსები ჩვენ წარჩინე-
ბულ მწერალთა განადონ. მკითხველ საზოგადოებათა საკუთრებად,
როთაც ისინი დიდს სამსახურს გაუწივენ ჩვენს მწერლობას და
მომავალ შთამავლობას.

რედ.



მ მო თ ხ რ ო ზ ა ნ ი

გამოცემა

III

(გაგრაულებზე)

ჩემი მონასტრიდამ გამოსვლის შემდეგ, ჩვენ წელიწად ნახევარი მოგზაურობაში გავატარეთ.

მრთხელ ნეაპოლში ვ—მ მითხრა:

ძვირფასო, ნინო, ჩქარა მოწიფული გახდებით და ქმარს უნდა გაჰყვეთ.

მე ქრიანტელმა გამიბრინა ტანში; ჩემმა ალღევებამ იგი გააკვირვა და მოწიწებით მკითხა: ალბათ თქვენ რამე საიღუმლოება გაქვთ, რომ ასე ალღევდით?

— ღიას, მაქვს საიდუმლოება! ეუპასუხე მე.

— შეგიძლიათ გამიზიაროთ თქვენი საიდუმლოება?

— რატომაც არა, თუ თქვენ თვითონ ვერ მიხვდით...

— მაშ მითხარით, მომიგო მან ღიმილით.

მე ხელი მოგვიდევ და ვაბეღვით ეუთხარი:

— მე ქმარს თქვენს მეტს არავის არ წავეყვები.

— როგორ! შემომძახა მან, და, როგორც ჰკუთა შემოიღის ისე, ცქერა დამიწყო. ნინო, თქვენ გავიწყდებთ, რომ მე ორმოცდა ათის წლისა ვარ, წაიხურჩულა ვ—მ.

— მერე რა ეუყოთ? მერწმუნეთ, რომ სიბერეს არ გაგიმწარებთ. ვ—მ თავი გააქნია და თვალი ცრემლით მოერწყო. მე ვიფიქრე, ალბად ცოლი მოაგონდა მეთქი.

ზაიარა ერთმა კვირამ. ჩვენ დიდის სიფრთხილით და კრძალვით ველაპარაკებოდით ერთმანეთს, თითქოს გვეშინოდა ერთ-მეორის გაჯავრება. — ერთი კვირის შემდეგ ვ—მ საშინლად ალღევებულმა მითხრა:

— მე რომ თქვენი სიტყვა დამეჯგრა, ძვირფასო ნინო, ჩვენ საშინელს უბედურებას მივაყენებდით ერთმანერთს.

— მე არაფრისა არ მეშინია.

— მაგრამ მე... მე მეშინია. ეტყობოდა რომ რაღაც საშინელი, არა ჩვეულებრივი გრძობა უტრიალებდა გულში.

— სწორედ მოგახსენოთ მე არ მესმის თქვენი ქცევა, ეუთხარი მე.

— ოჰ, ნინო, დიდის სიამოვნებით შეგწახაჯდა ჩემს სიცოცხლეს, მაგრამ...

— მეც ეს მინდა, მიეუგე მე ღიმილით, მაგრამ ამავე დროს სულს რაღაც უხილავი ძალა მიწვოთებდა.

— მე რომ ვიცოდე, მითხრა მან, რომ თქვენ არასოდეს არ გამკიცხავდით, მაინც ვერ გეტყოდით ჩემს საიდუმლობას...

— მფიცავ თქვენს ჭალარას, ვფიცავ ჩემს სიყმეს, რომ არასოდეს არ გევაშხელ თქვენს საიდუმლოს. თქვენ შეგიძლიათ თავისუფლად და უშიშრად მომენდოთ; ამის შემდეგ ვ—ი უფრო შეკრთა, უკან დაიწია და რაღაც გაუგებარის ხმით მითხრა:

— ძარგი, მე თქვენ... შეგირთავთ, მაგრამ...

— შმაგრამოთ!.. მე თქვენი მორჩილი ვიქნები ყოველისფერში.

ვ—მ შუბლზე მაკოცა ისე, როგორც ათის წლის წინეთ მაკონიდა, — და ამის შემდეგ ჯვარის დაწერაც გარდაწყვეტილი იყო. წინეთ მე სრულიად არ ვფიქრობდი მის სიმდიდრეზე და არც მეგონა თუ მდიდარი იყო იგი. ხოლო შემდეგ კი ცხადად დავინახე მისი ქონება, რადგან პირობის წერილით ყოველისფერი დამიმტკიცა ჯვარის დაწერის მეორე დღეს... ქორწილი იყო მდიდრულად გარდახდილი... მაგრამ ამით გათავდა ყოველისფერი: როცა შეველი საწოლ ოთახში — ქმარი იქ არ დამხვდა და არც შემოსულა სულ... მეორე დღეს ვ—ი შემხვდა ისევე, როგორც თავის გაზრდილს... როგორც იმ ათის წლის წინედ.

ამ რიგათ მიმდინარეობდა ჩვენი ცხოვრება ოცს წელიწადს!..

— როგორ, თუ ოცი წელიწადი!?! გავიოცე მე.

— ღიას, განაგრძო ვ—ს ქერიმა და ცოტა გაწითლდა, ლამაზ ტუჩებმა თრთოლა დაუწყეს. მე ვიყავი მისი ცოლი მხოლოდ სახელით. პირველად მეც მაკვირებდა მისი მოქმედება, შემდეგ ჩემმა სიამაყემაც იგრძნო ტანჯვა, ბოლოს დროს აღვიჭურვე მის საწინამდევოთ, მაგრამ ვ—ის ღიმილი საკმაო იყო ყველა ჩემი იარაღის ასაყრელათ. მე დავმშვიდდი... რამდენი არ ეცდილვარ, რამდენი საშვალები და ხერხი არ მიხმარნია, ერთის სიტყვით რაც კი შეუძლია მოიგონოს ქალმა, ყველა ის ვიხმარე და ვეცადე, მაგრამ არა გამოვიდა რა. ოცი წლის განმავლობაში ვ—ი ჩემს უფროს ძმასავით იყო.

სირცხვილის გამო მე ვმალავდი ჩემს სიქანწულს — ძალა-უნებურს სიქანწულს!.. მე არ შემიძ-



ქართული
საბჭოთაო

ლო არც შეძლება, არც მოტყუება იმ კაცისა, რომელიც ასე უსარგებლოთ მიყვარდა; ვეცადე ექვში შემეყვანა, მაგრამ ყოველი ჩემი ცდა ამაო იყო და ბოლოს გადავწყვიტე მით, რომ მე ჩემი თავი ვიცანი უფრო დამნაშავედ, ვიდრე მსხვერპლად. მე თვითონ მინდოდა მასთან კავშირი და არა იმას! მე უმაღლესი მას ჩემს მწუხარებას, რადგან ის ჩემზე უფრო იტანჯებოდა.

ხშირად მესმოდა მისი დამამწიფებელი სიტყვები: „მოთმინება იქონიე, ძვირფასო ნინო, ამ გვარ ცხოვრებას ბოლო ჩქარა მოელება.“

IV

მ—ი ნელ-ნელა კლექდებოდა. მე ვფიქრობდი, სიყვარული სასტიკად აღკრძალული უნდა ჰქონდეს მას მეთქი. თქვენ ხშირად გიკვირდით ჩემი სიკვრზე, მაგრამ ყოველთვის არც მე შემწვედა ღონე რომ აუღელვებლათ და გულ-გრილათ მომეომინა ყოველისფერი, რაც ჩემს თავზედ ხდებოდა. მე ვერ აღვიწერთ თქვენ ჩემს ტანჯვას ოცის წლის განმავლობაში... წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა და თვით გამოხატეთ რომანში! ვ—ი ისე გარდაიცვალა, რომ ჩემთვის არც ერთი თავის საიდუმლოება არ უთქვამს, მაგრამ მე ყოველივე გავიგე ჩემს სახელზედ დატოვებულის ანდერძის ბარათიღამ: ვ—ი იყო ჩემი მამა...

—მე მაგას აღრე უნდა მიემხდარვიყავი.—იგი იყო დედი ჩემის საყვარელი;—იმას კი, ვის სახელსაც მე ვატარებდი, ჩემს ბავშობაში თურმე, თავი მოეკლა. ქმარს დედაც ჩქარა გაჰყვა.

თუ ვ—ი დათანხმდა ჩემს შერთვაზედ, დათანხმდა მხოლოდ იმისთვის, რომ გარდმოეცა ჩემთვის თავისი აუარებელი ქონება და სახელი.—

—აი ჩემი ცხოვრების საიდუმლოება...

—მ—ი ბოღიშს იხდიდა წერილით ჩემთან და მთხოვდა მეპატიებინა მისთვის ის სისუსტე და მოტყუება, რომელიც გამოწვეული იყო მხოლოდ მამობრივის სიყვარულით, რომელიც იცავდა ჩემს მხურვალე და სათნო სიყვარულს. ამ ამბის გამოაშკარებამ თავზარი დამცა. ჩემს აღშფოთებას ბოლო არ

ჰქონდა, თითქოს მე კაცის მკვლელი ყოფილიყავი. მე ვტიროდი ჩემს შეგობარზე, მაგრამ იმავე დროს არ შემიძლო მეტის-მეტს მწუხარებას მივეცემოდი, რადგან ამით შეცოდებისა მეშინოდა; მე სინდისი მაწუხებდა, თუმცა დამნაშავე კი არ ვიყავი. ხანდისხან მეგონა, რომ ყოველისფერს დაევიწყებდი, თუ რომ მეორე ქმარში ეპოვებდი მას, რასაც პირველის ქმრის ხელში მოკლებული ვიყავი... მაგრამ არა... ბოლო როგორ ავიხსნათ არ ვიცი? მე მინდოდა განმარტოებაში და გულის-ზრახვაში დამეშრიტა ის ალი, რომელსაც ჩემდა უნებლიეთ შევიძლო ჩემი დაპყრობა, თუ რომ გამქრალი არ იქნებოდა.

მხლა მე მოხუცებული ვარ, ჩემი გული მთლად დავიმონე. თუმცა ცეცხლი ჩემს გულში სრულიად არ გამქრალა, მაგრამ არც ისე ძლიერია. ჩემზედ ცუდს ხმებს ავრცელებენ, მე ეს მანუგეშებს. ჩემზე რას არ ლაპარაკობენ, მაგრამ ჩემთვის სულ ერთია!... ჩემი განმარტოება ჩემი თავ-გადასავალის დასაფრავად საჭირო იყო; ეხლა კი არავისი არ მეშინია და მომავალ ზამთარში ცხოვრებას პარიჟში ვაპირებ; გარდა ამისა მინდა ზოგიერთი მეგობრები მოვიწვიო სოფელში... ეხლა არაინ დამიწყებს არშიყობას. განა ტყუილს ვამბობ?

მე ხელზე ვაკოცე ამ სათნოებით და სისპეტაკით სავსე ქალს, რომელიც თავის უმანკო და თვალსაჩინო ცხოვრებით სწორედ თაყვანისცემის ღირსი იყო.

როდესაც ნინოს ისტორია ვაცნობე ერთს ჩემს ნაცნობ ქალს, რომელსაც არაერთარი მწუხარება არ გამოუტლია თავის დღეში, შეჰკივლა:

— და თქვენც დარწმუნებული ხართ, რომ ნინო დიდი უბედური იყო! მას არ გამოუტლია მანკის და მამამცირებელი გრძნობა და წამება, რომელიც მარტო ქალისათვის ურგუნებია შეუბრალებელ სევბედს!...

ვ—ნე ქავთარაქე.

ვერდილი ვერდილი

ამ დღეებში გაზ „KABEZH“ — ში დაბეჭდილი იყო კორნესზონდენტის ფოთილამ, სადაც თურმე ამ ხანად იქაურ საქალაქო გამგეობაში ერთს ხმოსანს პრეპტი შეუტანია შესანებ ფოთის რეტის მახლობლად მდებარე მიწებისა. კორნესზონდენტის სიტყვებით, საქალაქო გამგეობას გადუწვევტნია კიდევ, რომ ხსენებული მიწები ჩაბარდეს და დაურიგდეს ზოგიერთა იქაურ „ბობოლეებს“ და მათ შორის ბ-ნს ქალაქის თავს — დაეთმოს... ჩვენ სრულიად არ გავკვირვებთ რა განზრახვით სულმძღვანელობდნენ ბ-ნი ხმოსნები და თვით ბ-ნი ქალაქის თავი, რომ კერძო პირებს ასე შინაურულათ ურიგებენ ქალაქის საკუთრებას, მაგრამ არც საკუთრებას; როგორც შემდეგ აღმოჩნდა ხსენებული „მიწის ნაკვეთი“ სასულემწიფო გამომდგარა და არა ქალაქისა. სწორედ საკვირველი პრეპტი და უფრო გასაოცარი განჩინება! საზოგადოთ კურთხევები ყოველთვის ყოფილან სსკა-დან სსკა საბჭოებში, მაგრამ არც ასეთი... მით უფრო, რომ ხმოსნებში ბევრნი იმისთანა პირნი ურევან, რომელნიც იქ პატიოსან ვაცნობად არიან ცნობილნი!...

გაზ. „ივერის“ სწორენ სოფ. ტაბაკინილამ, რომ 1878 დაარსებული სასოფლო სკოლა დ. ყვირილაში ვილაც ვაჟ ბატონების მეორებით დღეს დაკეტილიაო. კორნესზონდენტი სთხოვს წერს კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომ სკოლის ხელ-ახლად განსწავს რაიმე საშუალო აღმოუჩინონ. ჩვენის მხრით ჩვენც მივმართავთ წერს კითხვის მმართველობას, რომ, თუმართლას ხსენებულ მმართველობას რაიმე საშუალობა მოეპოვება, არ დაიზაროს და ამ კეთილ საქმეს დროზედ მიაქციოს ყურადღება.

ჩვენ შევიტყუთ, რომ იბეჭდება და ჩქარა გამოვა ჩვენი პატივცემულ მწერალის ანტონ ფურცელაძისაგან შედგენილი ლექსი: შოთა რუსთველი და იმისი ცალი.

ამ უმად რაღაც აუხსნელი პისილოგიური მიზეზების გამო, როგორც თბილისში, კერძოვე ქუთაისში ძრიელ გამრავლდნენ „ქუჩის რაინდები“, რომელნიც ყოველ გამკლელ-გამოკლელს — ქალი იქნება იგი თუ კაცი-ყოველ გვარ შეურაცხყოფას აყენებენ. მიდინარ შენთვის — ერთბაშად ხელავ-რომ რომელიმე „ჯგუფი ბიჭი“, ისეთს სსლარტულს გიზამს, რომ ბედს გაწვევდინებს.

კარგია კიდევ, თუ შენი „მარჯვენის“ შემთხვევაში მაგრამ ვაი იმათი ბრალი, ვინც „რისს და ფხასს“ მოკლებულა — ამ შემთხვევაში თურმე ვერც „წესიერების დამცველი“ გიშველიან. ვაჟ-კაცებს კიდევ არაუშავს-რა, მაგრამ რა ჭქნან მანდილოხსენება? სწორედ რომ აირიგ-დაირიგა ვაცნობური ურთი-ერთი დამოკიდებულება!...

ჩვენ გავიგეთ, რომ გამოჩენილი არტისტი — სცენების მკობელი (განსაკუთრებით ებრაული სცენების) პ. ი. ვეინბერგი ამ დღეებში ქალაქს ჩამოკარა.

ინდოეთს იქით, აღმოსავლეთ აზიაში, იაპონიის ქალაქ ნაგასაკოში გაჩენილას ხოლერა, კარგი იქნება, რომ სანიტარულ კამისებმა და ქალაქებმა მკვამბავს ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ... და სიწმინდე, მხოლოდ სიწმინდეა ხოლერის წინააღმდეგ. ყოველგვარი ძველი ხორავყოფობის სყიდვა სასტიკად აღკრძალული უნდა იყოს... კარგი და სასურველი იქნებოდა, რომ სანიტარულ კომისიებს ან სსკა საექიმო დაწესებულებათა მცხოვრებთათვის დაეგეჟღათ და დაერიგებინათ პატარ-პატარა დარიგება-ბროშურები და საწინამდღეგო საშუალობანი ხოლერის შესახებ. ეს მცირე ხარჯი თუ წინ არ წასწვეს საქმეს, მაინც არ გააფუჭებს. ფულები ვა ადვილი საშოვნელია, მაგალითად: ის შტრაფები და ჯარიმები, რომლებსაც სანიტარული კომისია ახდევინებს დამნაშავეთ კარგს თანხას შეადგენდა ამ ბროშურების გასავრცელებლათ...

ჩვენ ხანძვილი წყარობიდან შევიტყუთ, რომ ჩვენი ბანკის (არწმუნისეულ) თეატრს ამ დღეებში შეუდგებიან გასასწორებლათ; ამბობენ, ამ წელს მხოლოდ უსაჭიროეს საგნებს გააკეთებენ და მოამკვლეს წელს ვა ყოველისფერსაო.

თეატრი და მუსიკა

ჩინებულ იტალიის მომღერალს ქალებს მაროსხის და გალლის-სრულის გულითა სძულდათ ერთმანეთი და ერთი მეორის დაუძინებელ მტრად ითვლე-



ბოლა. ნეაპოლში, სან-კლაროს თეატრში, ჩიმაროზის ოპერა მიდიოდა სახელად «ქალის ცბიერება». ხალხი მოუთმენლივ ელოდა იმ დღეს, რომელშიაც ეს მომღერალი საძაგლად ლანძღამენ ერთ-მანეთს. მაროსხიმ დაიწყო მარტო სიმღერა, გალლი კი ამ დროს გულ საკლავს სიტყვებს ეუბნებოდა. შემდეგ გალი-ზედ მიდგა ჯერი იმ გვარივე საწყინო სიტყვების მოსმენისა, როგორითაც მან მაროსხს მიჰმართა. ხალხი ამათის სიმღერით აღტაცებაში მოვიდა, ტაშის კერას სამზღვარი არა ჰქონდა. მაგრამ დაიწყო თუ არა ორკესტრმა ცნობილი დუეტის დაკრა-ორთავ მომღერალთ დაეიწყდათ თავიანთი როლებიც და მაცქერა-ლნიც, ეცნენ ერთმანეთს და მართალი ჩხუბი გამართეს; მაროსხმა გალლს გულიდამ მანტილია მოჰგლიჯა, რომ უკეთ ეჩვენებინა ხალხისათვის მისი დამშეული და სასოზღარი გული, გალლი კიდეც სწვდა მაროსხს თავზედ და პარიკი მოაგლიჯა. ხალხმა თურმე გულიანად გადაიხარხარა, როდესაც ერთის წეროს კისერი და მეორის ქაჩალი თავი დაინახა...

მაროსხი მას შემდეგ სცენაზედ აღარ გამოსულა.

მოხუცი ვერდი დიდ-ხანს ვერა ბედავდა თავის ახალი ოპერის დადგმას. იმას, როგორც თითონ ამბობდა ხოლმე, ცოტა ხნის სიცოცხლე და დარჩენოდა და უნდოდა, რომ ეს უკანასკნელი დრო დამშვიდებული ყოფილიყო, მაგრამ მაინც კომპოზიტორმა სძლია კაცს. იმპრესარიო «*La Scola*» მმ. კორტო მოიგეს გენიოსი მანესტროს გული: ისინი გაემგზავრნენ პიდუაში და იმ თხოვნასთან ერთათ, რომ მას «ოტელოს» წარმოდგენის ნება მიეცა *La Scola*-ში წარუდგინეს მას რამდენიმე ათასი კაცისაგან ხელმოწერილი ადრესი, რომელიც შეიცავდა თვით სინდიკის ხელის მოწერიდგან დაწყობილი საუკეთესო წარმოდგენელთ ლიტერატურისა, ხელოვნებისა, მეცნიერებისა, ვაჭრობისა და არისტოკრატთა გვართაც. მეისტრო ვერდი თურმე ამან მეტად ააღელვა და ძმათა კორტო უთხრა:

— თქვენ მე, ყმაწვილებო, ცუდ მდგომარეობაში მაყენებთ. მე მსურდა უკანასკნელი დღენი ჩემის სიცოცხლისა მოხვენებით გამეტარებინა. მაგრამ მილანი ის ქალაქია, სადაც მე პირველად სახელი მოვიხვეჭე და პირველი გამარჯვება შევიძინე. «*La Scola*»-ში მოსიარულე ხალხი-თანამგრობი და ხელოვნების დამფასებელი ხალხია... გპირდებით, რამწამს გავათავებ, მაშინათვე გამოგიგზავნით «*La Scola*»-ში წარმოსადგენათ.

ამბობენ, ოპერა უკვე გაუთავებიაო. გამგონებელი იწერებინან, რომ ეს ოპერა საუკეთესო თხზულების მოხუცის კომპოზიტორისაო.

სად რა მომხდარა.

რუსული გაზეთები გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში თურმე პეტერბურლიდამ მიმავალ ვაგონში, მეორე კლასილდამ უეცრივ ვილაცა ქალის ყვირილი მოისმოა. როდესაც ამ ყვირილზე მიმავალი პოეზი გააჩერეს და ხალხი მოგროვდა, შემდეგი სურათი დაინახესო: პირველი კლასის ვაგონში სკამის ქვეშ ვილაც ახალ გაზდა ყმაწვილი კაცი იპოვეს, რომელმაც თავისი თავი პეტერბურლის სტუდენტათ დაისახელაო. საქმე თურმე ასე ყოფილა: სტუდენტს საშინლად ყვარებია მოგზაურობა და რადგან ფული არ ჰქონია, ამიტომ შეპარულა პირველი კლასის ვაგონში (ეს თურმე პირველი მანგალითი არ არის) და ამგვარად სდომებია თავისი სურვილის დაკმაყოფილება, მაგრამ მგზავრ ქალს დაუნახავს თუ არა ვილაც კაცი სკამიკის ქვეშ, ყვირილი შეუქმნია. საბრალო სტუდენტი დაუტუსაღებიათ... სამწუხაროა ეს ამბავი: სჩანს რომ სტუდენტებს ძალიან უჭირთ თუ ამნაირს მოგზაურობას არ თაკილობენ..

შაზანის მაზრაში, რუსული გაზეთის სიტყვით ამჟამათ თათრებში განათლება საოცარის სისწრაფით მიდის,—მაგალითად: მთელს მაზრაში 652 მაჰმადიანების სასწავლებელიაო, ასე რომ თათრებში თვითო სკოლა 600 მცხოვრებზედ მოდის—პირ იქით რუსეთში თვითო სკოლა 1800 მცხოვრებზედ მოდის.—

რუსეთში ერთს იქაურს აბლაკატს შემდეგი „კლოაზნიკობა“ ჩაუდენია. ერთი ვილაც გლეხის ქალისათვის თურმე არზა დაუწერია საჩივლელად, ქალს ხელი მოუწერია, მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ის არზა კონტრაკტად გადაიქცევიდა. თურმე გაიძვერა აბლაკატს არზის მაგიერ კონტრაკტი დაუწერია, რომლის ძალით იმას ნება ჰქონდა მთელი ხუთის წლის განმავლობაში მუქთად ეცხოვრნა საცოდავი ქალის სახლში!...

„ხარკოვის უწყებანი“ გვატყობინებენ, რომ გამოჩენილს რუსის ვაჭარს—მოლაიკოვს ამ დღეებში ხარკო-

ვის ტენნიკური სასწავლებლისათვის 40,000. მ. შეუწირავს. — საზოგადოთ ცნობილია, რომ რუსის ვაჟები საშინელ-ქველ მოქმედნი არიან...

ამთვის 6 პოლშურ მწერლებს უდღესასწაულნიათ გამოჩენილის პოლშელი მწერალი ქალის 25 წლის იუბილეი. ეს სახელოვანი ქალი არის ელიზა ორჟიჰოვა. ჩვენ ვეცდებით ამ ცოტა ხანში გავაცნოთ ჩვენი მკითხველები ამ გამოჩენილი ქალის ნაწარმოებებს.

რუსულ გაზეთებში სწერენ, რომ განსვენებულს დრამატურს ა. ნ. ოსტროვსკის ძეგლს უმართამენ პეტერბურღშიო. ჩვენ არამცთუ ძეგლის გამართვა პატივცემული პირების საფლავზედ, არ გვაგონდებია, არამედ მათი საფლავიც არ ვიცით სად იმყოფება.

ამ დღეებში ტელეგრაფებმა გვაცნობეს, რომ გამოჩენილი მემუსიკე — კომპოზიტორი ლისტი ქ. ბეთრეიტში გარდაცვალებულა. ლისტი ერთი უდიდესი კომპოზიტორი იყო ამ XIX საუკუნის დამლევში. მომეტებული ლისტის ნაწარმოები შეადგენს სასულიერო — საეკლესიო ხმებს. ლისტის გალობები საქვეყნოდ გამოჩენილნი არიან. გარდა ამისა ლისტი პირველი დამკვრელი იყო როიალზედ. ამ ორის თვის წინეთ ლისტი ევროპაში მოგზაურობდა და პარიჟში დიდის აღტაცებით მიღებულ იყო. მომეტებული თავისი სიცოცხლე ლისტმა რომში გაატარა. ლისტი მოკვდა 70 წლისა, სწორედ იმ დროს, როდესაც მისი დიადობის სხივი შუქს ჰფენდა მის სამშობლოს.

ამ დღეებშივე მომკვდარა გერმანიის გამოჩენილი ისტორიკოსი მაკს ღუნკერი. ეს გამოჩენილი კაციც 75 წლისა მოკვდა.

ქალები აღარა ხუმრობენ, დღე ისე არ გავა, რომ გაზეთებში არ წაიკითხოს კაცმა: ეს და ეს ქალი ექიმად დანიშნეს, ეს და ეს პრეზიდენტად ამოირჩიეს, ამას ამ ქალაქში პროფესორის კათედრა უჭირავს, ის გამოჩენილი მათემატიკოსი არისო და სხვა. ესლა თურმე ვარშავაში მომეტებული საპარიკმახერო ქალებს დაუჭერიათ, ისინი ჰკრევენ და ჰპარსავენ კიდევ მამათა სქესსა. ჩვენ წარმოგვიდგენია ჩვენი ქალი სამართებლით ხელში!..

ეროვნული
ახსნა არითმეტიკული გამოცანისა

ზირკულმა გაუიდა: $30 = 3 + 3 + 3 + 3 + 3 + 3 + 3 + 3 + 3 + 3 = 10$.

შეორემ გაუიდა: $30 = 2 + 2 + 2 + 2 + 2 + 2 + 2 + 2 + 2 + 2 + 2 + 2 + 2 + 2 + 2 = 15$.

მაშასადამე $10 + 15 = 25$ კაპ.

ამ გამოცანის აღსნა მივიღეთ რ. მარზანელიანგან, იგლიანე ქავთარაძისგან, მარო — შეილისგან, დაგით თარხნიშვილისგან და მსიკო ჩარკვიანისგან.

ქუდის გამეიდველმა წავგო სულ 25 მან. ამ გამოცანის სწორი ახსნა მივიღეთ გოტე ნახიძისგან, დაგით თარხნიშვილისგან და მსიკო ჩარკვიანისგან.

ახსნა გამოცანა — ფოკუსისა.

ფესები მიაბჯინეთ კარების ერთს ნახევარს და თავი მეორე ნახევარს.

ახსნა სიტყვის გამოცანისა.

სა — ფლაჟი — ხაფლაჟი.

ამ გამოცანის ახსნა მივიღეთ ბაბო ავ — სეგან.

*) იხილეთ «თეატრი» № 29

სიტყვების გამოცანა.

ერთ გვარ საჭმელს (ფეკილისგან) უგანასგნელი ხმოვანი ასო მეორე ხმოვანი ასოთი შეუცვალეთ, მაგას მიუმატეთ კარგად ცნობილი ერთი დიდი ერის სახელი მრავლობითს რიცხვში ნათესაობითი ბრუნვისა, ამას მიუმატეთ სეგანი, რომელიც ნიშნავს გაშლილ მიდამოს და ეგვლასენი შეადგენენ ერთის უდიდესი და უწარჩინებულესი პირის სახელს და გვარს ჩვენ საქართველოში.

ხალხური გამოცანები

I ერთს სულეიკს მგახსენებთ ავ თვალ-ტანად მონაშენსა არცა ვისგან საყვარელსა, არცა ჭებით მონახსენსა, დღისით მზესა ანა ნახავს, ცის მონათობს მონაშენსა



ქართული
თეატრის
კავშირი

ფრინკლასი (?)—კვრტსს არა სდებს, თვით ამრავლებს
მონაშენსა.

II ერთსა ზატანა მინდარსა

სდგან რც და ათი კანია,—
მათ რაი მარტაქული ჭყავთ,
ტანთა სხეცაკა ანვით.

აქ
71
11
3

III ჯარი სდგას თემ-თემ შეყრილი, გზა ანსიდ
არა იქცევისო,

შეიქმნა სოციალ ძრეული მრავალი წაიქცევისო!

IV ის ვინ იყო, არ ესალა არც ტაი და არც ქვეყანა
უხილავად დემრთი იცნო მაცნოვანსაც ეთაყვანა?

(გაგონილი და შეგრებილი კენინა ნინო ორბელიანისაგან)

არიოთმეტიული გამოცანები

ათსი ყმაწვილი ერთ გაჭართან ქათმების სასუიდე-
ლათ მივიდნენ, შირველმა უთხრა: რაც აქ ქათმები გყავს
იმის ნახევარი მომეიდე და ერთი ქათმის ნახევარიც მომე-
ციო; მეორემ უთხრა: რაც დაგჩნა იმის ნახევარი მომეიდე
და ერთი ქათმის ნახევარიცო, მესამემაც და მეოთხემაც ამ
გვარადვე უთხრეს. გაჭარმა ყველას აუსრულა თხოვნა და
ბოლოს არც ერთი ქათამი არ დაჩნა. კითხვა: რაედენი
ქათამი ყვანდა ვაჭარს და რომელს რაედენი მიჰყიდა?

ბ-ნი ა. ცხველადის საგულისხმოდ.

ჩვენ ზნეობრივ მოვალეედ ვრაცხთ ჩვენს
თავს ვაცნობოთ და მოვავინოთ ბ-ნს ა. ცხვე-
დაძეს, რომ მისგან აღიარებულ წინადადება-
ზედ ბ-ნი ლ. გულისაშვილმა წერილით თანხ-
მობა გამოაცხადა და კიდევაც დანიშნა თავის
მხრით მედიატორად, სათავად-აზნაურო ბანკის
ბუღალტერი თავ. დ. ფავლენიშვილი (იხილეთ
„თეატრი“ № 27). იმის შემდეგ ერთმა თვემაც
გაიარა და ბ-ნი ა. ცხვედაძე აქამომდე ხმას არ
იღებს. ეს გარემოება ჩვენ ან იმას უნდა მივაწე-
როთ, რომ ბ-ნს ცხვედაძეს აღარა ჰსურს მედი-
ატორებისაგან საქმის გაჩრევა და, მაშასადამე,
უკან დაბრუნდეს თავის წინადადებას, ან კიდევ
ბ. გულისაშვილის წერილზედ ჯერ არაფერი

იცის.—ეს უკანასკნელი უფრო დასაჯერებელი
და ჩვენც იმედი გვაქვს, რომ ასე უნდა იყოს...
ასეა თუ ისე, ჩვენ მაინც ჩვენს მოვალეობას ვას-
რულებთ და ხელ-ახლად ვაუწყებთ ბ-ნს. ცხვედა-
ძეს, რომ ბ-ნი გულისაშვილი თანახმაა მის წინადა-
დებაზედ და მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის მედი-
ატორს ელის.

რედაქ.

«თეატრის» ფოსტა.

ფოტოშ. ბ-ნს ბ. კ—ძეს. თქვენი პატივცემული წერი-
ლი, პასუხად ჩვენის წერილისა, მივიღეთ, რისგანო გულითად
მადლობას მოგახსენებთ. თქვენი რჩევა საფუძვლიანია და ამიტომ
ჩვენც გეთანხმებით. რაც შეეხება განცხადებას იგი, როგორც
თვითონ დანახავთ, უკვე დაბეჭდილია. დიდათ დაგვაულებთ
თუ კი დაპირებულს ამბებს მოგვწერთ სოლომე, განსაკუთრებით
მანდაურ ქალაქის საბჭოზე. იმედი გვაქვს თავ. მ—ასაც ჩვენს
სამომავლებს და მადლობას განუცხადებთ... ნუ დაგვივიწყებთ.

ჩიკიშლიარში. ბ-ნს სადურის. თქვენი წერილი
მივიღეთ და თხოვნას გისრულებთ. იმედი გვაქვს არც თქვენ
დავიწყებთ დაპირებულს.

ბ-ნი ნ. ლ. ქ. და დ. გაზეთის გაგზავნა თქვენ მოგესპოთ,
მიზეზი ჩვენზედ უნდა მოგენსებოდეთ. 1 ივლისიდან
წლის დამლევაამდე გაზეთი «თეატრი» ლირს ვ
მანეთი, ვინც ამ ფულს არ გამოგზავნის, იმათ
გაზეთს რედაქცია ვერ გაუგზავნის. მეტს ვერა-
ფერს გუთყვით.—

ქალს მათიკოს—ფო—ი. თქვენი გამოცანები,
ლექსი და გასართობი მივიღეთ. დიდათ გმადლობთ. მანლობელ
№12 დაბეჭდილი იქმნება, რაც კი გამოდგება. იმედი გვაქვს
არ მოაკლებთ თქვენს მონაწილეობას ჩვენს გაზეთს.

გორი. ბ-ნს ა. ვვლიაშვილს. თქვენი წერილი დაიბეჭ-
და, მაგრამ უბედურება შეემთხვა,—აღაგაღაგა... ზოგიერთი
ვერ დაიბეჭდა!...

ქუთაისი ქ—ნს მაშკო ჩ—იანს გმადლობთ გა-
მოგზავნილისათვის. სწორე ახსნა. არ დაგვივიწყოთ.


ბორჟომი. ბ-ნს სანდრუა ბიჭს. თქვენი მრისხანე
წერილი მივიღეთ. კარგად გვესმის თქვენი აზილობილება. ერთს
გუთყვით: საზოგადოთ ცუდი ჩვეულებაა, როდესაც კაცს პი-
როვნული ჭია აჭიკიკებს. ამ აუად-მყოფობას ერთი-ლა წა-
მაღა დაედება: რაც კი შეიძლება უფრო ფხიზლათ და გონების
თვლით დაუვიკრდეს თავის გასივებულ თავმოყვარეობას. თქვენ
არ მოგწონთ ჩვენი «ფოსტა»,—რა გქნათ, ყველას ვერ ვასი-
ამოვნებთ და არც შეიძლება. სიმართლე მეტად მახვილი იარაღია:
მიეკარება თუ არა პიროვნულ ჭიას, უთუოდ დაჰკოდავს.

VIII годъ


ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА 1886 ГОДЪ

VIII годъ

ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ



МІРЪ



ВОЛШОЙ ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ.

каждый новый подписчикъ получаетъ все вышедшіе номера, начиная съ № 1-го со всеми преміями.

Все подписчики «Иллюстрированного Мира» получаютъ въ теченіи года бесплатно:

ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЯ ЛИТЕРАТУРНЫЯ ПРИЛОЖЕНІЯ,

въ которыхъ помѣщаются наиболѣе выдающіяся беллетристическія произведенія коринеевъ иностранной литературы.

ХУДОЖЕСТВЕННЫЯ ПРИЛОЖЕНІЯ,

представляющія снимки съ новѣйшихъ капитальныхъ произведеній русскихъ и иностран. художниковъ.

НОВѢЙШІЯ ПАРИЖСКІЯ МОДЫ

съ выкройками въ натуральную величину. Въ годъ около 500 рисунковъ моды съ описаніями.

Годовые подписчики „Иллюстрированного Мира“ получаютъ, кромѣ всего еще премію главную большую

РОСКОШНЫЙ ФОТОГРАФИЧЕСКІЙ АЛЬБОМЪ,

состоящій изъ ДВАДЦАТИ ФОТОГРАФИЧЕСКИХЪ СНИМКОВЪ съ классическихъ произведеній знаменитыхъ художниковъ: русскихъ, итальянскихъ, французскихъ, нѣмецкихъ и англійскихъ. Каждая фотографія сопровождается портретомъ художника, его біографіею и описаніемъ картины.

ПОДОВОНОЙ БОГАТОЙ ПРЕМІИ НЕ ВЫДАВАЛЪ ЕЩЕ НИ ОДИНЪ ЖУРНАЛЪ

Годовые подписчики, заявившіе свои требованія до 15 го декабря, получаютъ съ № 1 журнала: допускается подписка въ разсрочку: при подпискѣ 4 р., и къ 1-му сентября 1 р.

Желающіе ознакомиться съ журналомъ, могутъ получить пробный № за двѣ 7-ми копѣечныя марки.

Адресъ редакціи С.-Петербургъ Невскій проспѣтъ, № 76.

« П З ე რ ი ა »

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი გამოდის უოველ დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევნ კვირა-უქმეებს.

წლიური ფასი	10 მ.
წახევარი წლით	6 მ.
სამის თვით	3 მ. 50 ჰ.
და ერთის თვით	1 მ. 50 ჰ.

პირველის ივლისიდან წლის დამლევამდე გაზეთი «ივერია» ღირს შვიდი მანეთი.

რედაქცია იმყოფება: ახალ ბებუთოვის ქუჩაზედ ზუბალოვის სახლში, № 9.

გარეშე ხელის მომწერთათვის: **თიფლის** **Въ редакцію газеты «Иверія».**

რედაქტორ—გამომცემელი **ი. ჰაზვაძე.**